ბრძანება N 01-22

ქ. თბილისი 15/02/2019

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით პროექტებზე განაცხადების წარდგენისა და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დებულების მე-4 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ

დამტკიცდეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით პროექტებზე განაცხადების წარდგენისა და შერჩევის წესი.

1.ზოგადი ინფორმაცია

1.1. ქართული ხალხური მუსიკის, ცეკვის, ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სახალხო დღეობების, ხალხური სანახაობების, საეკლესიო გალობის განვითარების, ამ პროცესში ახალგაზრდა მეცნიერების, შემოქმედი ინდივიდებისა და ჯგუფების ხელშეწყობა-წახალისების მიზნით, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი აცხადებს კონკურსს სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებზე.

1.2. სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებზე განაცხადებს მიიღებს და შეარჩევს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შემქნილი საკონკურსო კომისია.

1.3. სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებზე განაცხადების მიღება-შერჩევის კომისიის (შემდგომში საკონკურსო კომისიის) შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

1.4. საკონკურსო კომისიის მუშაობის და მის მიერ გადაწყვეტლებების მიღების წესი განისაზღვრება წინამდებარე ბრძანებით.

1.5. საკონკურსო კომისიის წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება წინამდებარე ბრძანებით.

2. სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებზე განაცხადების მიღება-შეფასების კომისიის შემადგენლობა

2.1. საკონკურსო კომისია შედგება შვიდი წევრისგან, რომელთა შემადგენლობასაც ამტკიცებს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

2.2. საკონკურსო კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მოქმედი თანამშრომელი, ასევე მოწვეული სპეციალისტი.

2.3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა გამარჯვებულ განაცხადების ავტორთა გამოვლენამდე ანონიმურია.

3. საკონკურსო კომისია და კომისიის წევრი

3.1. საკონკურსო კომისიის წევრი უფლებამოსილია გამოთქვას და დააფიქსიროს საკუთარი აზრი კომისიის მიერ განსახილველ განაცხადებთან დაკავშირებით. მისცეს ხმა კონკრეტული განაცხადის შერჩევას ან თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

3.2. კონკრეტულ განაცხადთან დაკავშირებით, საკონკურსო კომისიის წევრის მიერ ხმის მიცემისგან თავის შეკავების შემთხვევაში, პროექტის განხილვას აგრძელებს კომისიის დანარჩენი შემადგენლობა.

3.3. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს კომისიის არანაკლებ ხუთი წევრი.

3.4. საკონკურსო კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს საპროექტო განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან 24 სამუშაო დღეში.

3.5. საპროექტო განაცხადი ჩაითვლება გამარჯვებულად, თუ მას მხარს დაუჭერს საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობა. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

3.6. საკონკურსო კომისიის სხდომის წერილობით ოქმს აფორმებს სხდომის მდივანი, რომელიც არაა კომისიის წევრი.

3.7. საკონკურსო კომისიას თავმჯდომარეობს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი.

4 განაცხადის ფორმა, მიღების ვადები და განხილვის წესი

4.1. სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტებზე განაცხადების მიღება იწყება 2019 წლის 15 თებერვლიდან და გრძელდება 15 მარტამდე.

4.2. განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავსებს საკონკურსო განაცხადის სპეციალურ ფორმას, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი. (განაცხადის ფორმა დებულებას თან ერთვის დანართი N1 -ის სახით)

4.3. საკონკურსო განაცხადის გადმოტვირთვა შესაძლებელია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვებგვერდიდან.

4.4. განმცხადებელს შეუძლია საკუთარი განაცხადი შემოიტანოს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ცენტრალურ მისამართზე (ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N68) ან გამოგზავნოს ელექტრონლი ფორმით საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ელექტრონულ საფოსტო მისამართზე info@folk.gov.ge

4.5. განაცხადში მითითებული ველების შევსება სავალდებულოა და ყოველი განმცხადებელი ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია მიუთითოს ზუსტად.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ არის შევსებული სრულყოფილად, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია დატოვოს განაცხადი განუხილველად ან განმცხადებელს მისცეს ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

4.6. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში მცოხვრებ ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ეთანხმება კონკურსის წესის ყველა პირობას და აკმაყოფილებს წინამდებარე ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

4.7. კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დასაქმებულ პირებს. (აღნიშნული წესი არ ეხება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობებში დასაქმებულებს)

4.8. განმცხადებლის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ერთი საპროექტი განაცხადი.

4.9. განაცხადი შესაძლებელია წარმოადგინოს როგორც ერთმა პირმა, ასევე რამდენიმე ფიზიკური პირისგან შემდგარმა ჯგუფმა.

4.10. საინიციატივო ჯგუფში შესული ფიზიკური პირი ასევე შეიძლება იყოს კონკურსის ინდივიდუალური განმცხადებელი (კონკურსანტი).

4.11. განმცხადებელი ვალდებულია განაცხადთან ერთად წარმოადგინოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და ფოტოსურათი 3/4-ზე. (შემოქმედებითი მიმართულებით შემოსულ განაცხადებზე შესაძლებელია კომისიის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გადახედვა).

4.12. სამეცნიერო მიმართულებით საპროექტო განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, ამ დებულების 4.11 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და არანაკლებ ერთი რეკომენდაცია. (რეკომენდაციისგან თავისუფლდებიან სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები).

4.13. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემოთავაზებული საპროექტო განაცხადის განმარტებითი ბარათი, რომელშიც ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს პროექტის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, მოსალოდნელი შედეგი და მისი მნიშვნელობა.

4.14. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს საპროექტო განაცხადის შედეგად განსახორციელებელი პროექტის ვადები და დეტალური ხარჯთაღრიცხვა.

5 პრიორიტეტული მიმართულებები

5.1. საკონკურსო განაცხადები მიიღება ორი მიმართულებით: სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი

5.2. სამეცნიერო მიმართულებით, უპირატესობა მიენიჭება სტუდენტების, დოქტორანტების, ახალგაზრდა მეცნიერების, მკვლევრების მიერ რეგიონებიდან წარმოდგენილ საპროექტო განაცხადს, რომელშიც აისახება ყოფაში არსებული ფოლკლორული ნიმუშების მოძიება-დაფიქსირება და შემკრებლობითი საქმიანობა.

5.3. შემოქმედებითი მიმართულებით უპირატესობა მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებიც ითვალისწინებს რეგიონებში არსებული შემოქმედებითი ჯგუფების, ინდივიდების მიერ ადგილობრივი მივიწყებული ფოლკლორული ნიმუშების მოძიებას, აღდგენას, შესრულებასა და დაფიქსირებას.

6. საკონკურსო კომისიის მიერ განაცხადების გადარჩევისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

6.1. კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადებული საპროექტო განაცხადის თაობაზე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და განმცხადებელს შორის, გაფორმდება ინდივიდუალური ხელშეკრულება.

6.2. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი იღებს ვალდებულებას, განმცხადებელთან ერთად განახორციელოს პროექტი და, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუველყოს მისი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური თუ სხვა სახის მხარდაჭერა.

6.3. პროექტიდან გამომდინარე, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

გიორგი დონაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ "ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი"